ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1456996

ნომერი: AR1245983

თარიღი : 22.08.2014

გაცემის თარიღი : 01.09.2014

გაცნობის თარიღი : 01.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13 , (ნაკვეთი N4/66) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მამულია პ/ნ 01024028880
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 18 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ახლადაშენებული შენობის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და შენობა, რომელზეც დაგეგმილი გაქვთ საჩრდილობლის მოწყობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ინდივიდუალურად, მხოლოდ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობა მიზანშეწონილად მიაჩნია იმ აუცილებელი პირობის გათვალისიწნებით, თუ შემუშავდება ერთიანი ესკიზი, რომელიც გაითვალისწინებს შენობის მთელ ფასადზე, ანალოგიურ ადგილებში საჩრდილობლების მოწყობას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სამუშაოების განორციელებაზე შესაბამისი წერილობითი თანხმობა გაიცემა ყველასათვის ინდივიდუალურად. თუმცა პირველ რიგში უნდა მოიპოვოთ აღნიშნული ახალაშენებული შენობის ავტორის (არქიტექტორის) თანხმობა თქვენს მიერ განსახორციელებელ სამუშაოებზე, სასურველია ერთიანი ესკიზი შემუშავებულ იქნას პროექტის ავტორის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდგომ დამატებით წარმოსადგენი იქნება:

–ველში „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს უნდა აიტვირთოს შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული ფოტომასალა, ხოლო „ფოტომონტაჟი“–ს ველში აიტვირთოს განახლებულ ფოტომასალაზე დამუშავებული ერთიანი ესკიზის ფოტომონტაჟი საპროექტო ფართის მონიშვნით, ასევე წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ფასადის მონიშვნით.

–განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

–ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.